სამახსოვრო საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრისთვის

განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდება

საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები

წინამდებარე რესურსი მომზადებულია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

სამახსოვრო ინსტრუქცია წარმოადგენს დამხმარე რესურსს კომისიის წევრის მიერ ფუნქციის შესაბამისად ამომრჩევლისთვის კვალიფიციური სერვისის განსახორციელებლად.

არჩევნები 2024

- ✔ მიუთითეთ ამომრჩეველს განცალკევებით მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად აიღოს სპეციალური კონვერტი და მოათავსოს მასში საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.

გახსოვდეთ!
ამომრჩეველი, რომელიც ფიზიკური მდგომარეობის, კერძოდ, ზედა კიდურების არქონის გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, მის ნაცვლად, მისი თანდასწრებით, შევსებულ საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს სპეციალურ კონვერტში დებს და შემდეგ ძირითად საარჩევნო ყუთში ათავსებს მის მიერ არჩეული პირი, რომელიც დაეხმარა საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების შევსებაში.



- ✔ მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი სპეციალური კონვერტი აქვს, გახსენით საარჩევნო ყუთის ჭრილი და მიუთითეთ ამომრჩეველს, სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში.
- ✔ სპეციალური კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების საარჩევნო ყუთში ჩაშვების შემდეგ მიუთითეთ ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანს.